ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ცაგერი-საქართველოსთვის“

ანგარიში

ფრაქციაში ,,ცაგერი საქართველოსთვის“ გაერთიანებულია ოთხი დეპუტატი (მ.შორის ერთი მაჟორიტარი ჩხუტელის თემიდან)

ფრაქცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), ფრაქციის წესდების შესაბამისად..

ფრაქციის თავმჯდომარე მ. მურცხვალაძე, თავმჯდომარის მოადგილე გ. კოპალიანი, წევრები ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე.

ფრაქცია აქტიურადაა ჩართული საკრებულოში და მთლიანად მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში. ფრაქციის წევრები ჩართული არიან ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის საკთხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიებში.

ფრაქცია თავის სხდომაზე განიხილავს საკრებულოზე დასამტკიცებელ დადგენილებებსა და განკარგულებებს, მოსახლეობის განცხადებებსა და შუამდგომლობებს.

ფრაქციის სახელით საკრებულოზე დადგა რამდენიმე ინიციატივა, როგორიცაა საკრებულოს არამომუშვე დეპუტატების ხარჯების ანაზღაურების შესახებ, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგარდობის ჩართულობის საკითხი ბიუჯეტის დაგეგმვის და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოვითხოვეთ ახალი 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს ეკონომიკური საქმიანობის მუხლში გათვალისწინებული იქნას თანხები, რომელიც მიიმართება სწორედ სამუშაო ადგილების შექმნისაკენ და ახალგაზრდობის დასაქმებისკენ. საფუძვლიანად იქნეს შესაწავლილი მუნიციპალიტეტის რესურსები და მათი ეფექტურად გამოყენების გზები.

ფრაქციამ სხვადასხვა შემთხვევაში არ დაუჭირა მხარი ,,ბიუჯეტში ცვლილების შესახებ“ დადგენილების პროექტებს, ასევე კვარტალურ ანგარიშებს, სადაც ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების შესრულების მაჩვენებელი დაბალი იყო, მძიმე ტექნიკის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის საკითხს.

ფრაქციამ მოითხოვა მუნიციპალურ ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ფრაქციის აზრით აუცილებელია ა(ა)იპ-ების რეორგანიზაცია, ფუნქციების მინიჭება და საქმიანობის კონტროლი.

ფრაქციის წევრები მუდმივად ეცნობიან და წარუდგენენ საკრებულოს პრობლემურ საკითხებს. ნაწილი საკითხების მოგვარდა.

ფრაქცია ,,ცაგერი-საქართველოსთვის“

თავმჯდომარე: /მ. მურცხვალაძე/

თავ-რის მოადგილე /გ. კოპალიანი/

26/10/2022 წ.